საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადამიანური რესურსის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში

მაგისტრანტი თამარ ფაღავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე. ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი სამაგისტრო პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.”

მაგისტრი თამარ ფაღავა

ხელმოწერა: თ. ფაღავა

თარიღი: 06/06/2025წ.

აბსტრაქტი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადამიანური რესურსის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს ქვეყნის ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში. ისევე, როგორც ყველა სისტემას ბუნებაში თავისი მოფუნქციონირე ნაწილაკები/ელემენტები გააჩნია, ასევეა ჯანდაცვის სისტემაც მისი ეფექტური მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია ადამიანური რესურსი, რომელიც ამ სისტემას ქმნის და ემსახურება მას. საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადამიანური რესურსის განვითარება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, ყურადსაღებია სამუშაო ძალის არათანაბარი გადანაწილება ქვეყნის მასშტაბით, ჯანმრთელობის სფეროში დასაქმებულთა პროფესიული განათლების გაუმჯობესება და შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, ჯანდაცვის მუშაკთა კმაყოფილება სამუშაო გარემოში. ეს ყოველივე სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია სამედიცინო კადრების ცოდნაზე, უნარებზე და მოტივაციაზე, რაც ბუნებრივია განსაზღვრავს ჯანდაცვის სისტემის ხარისხიან და ეფექტურ ფუნქციონირებას. მოცემული კვლევის ფოკუსი განისაზღვრა საკითხის აქტუალურიბიდან გამომდინარე და ნაშრომი ემსახურება საქართველოში, სამედიცინო საკადრო სფეროში, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას.

კვლევა პასუხს სცემს მთავარ კითხვას- რა როლი აქვს სამედიცინო ადამიანური რესურსის მართვას სსაზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით და რა, ემოციური, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას სამედიცინო ადამიანური რესურსი საქართველოში.

საერთო სურათის წარმოჩენის მიზნით, კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. რესპოდენტები გამოიკითხნენ წინასწარ შედგენილი ონლაინ კითხვარის საშუალებით. საკვლევ პოპულაციას წარმოადგენს სამედიცინო/ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ადამიანური რესურსი საქართველოს მასშტაბით.

კვლევის მონაცემების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ჯანდაცვის პროფესიონალები საქართველოში დაბალი მოტივაციით მუშაობენ, მათი პასუხებიდან გამომდინარე ეს სფერო მეტი ყურადღების ღირსია სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკის მხრიდან, ვინაიდან დასაქმებულებს სჭირდებათ წახალისება, შინაგანი მოტივაციის გაზრდა, შრომითი პირობების გაუმჯობესება.

კვლევის მიგნებით, შრომისუნარიანი, მაღალი კომპეტენციის და პასუხისმგებლობის მქონე კადრის არსებობა ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქვეყნისთვის და პირდაპირპროპორციულად აისახება სამედიცინო მომსახურეობის უკეთეს ხარისხზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შრომითი რესურსები ჯანდაცვაში, სამედიცინო კადერები, სამედიცინო შრომის ბაზარი საქართველოში.

Abstract

Prospects and Challenges of Human Resource Development at Public Health in Georgia.

Public health represents one of the fundamental components in ensuring a country's health security and social well-being. In Georgia, the development of human resources in public health faces numerous challenges. Notable among these are the unequal distribution of the workforce across the country, the need to improve the professional education of those employed in the healthcare sector, and alignment with European standards, as well as the overall job satisfaction of healthcare workers. All these factors—among others—are closely tied to the knowledge, skills, and motivation of medical personnel, which, naturally, determine the quality and efficiency of the healthcare system's performance. The focus of the present study was defined by the urgency of the issue, and the research aims to identify existing problems within Georgia's medical human resources sector.

The study addresses the main research question: What role does the management of medical human resources play in the development of public health in the context of Georgia, and what emotional, social, and economic challenges do healthcare professionals face in the country? To present a comprehensive picture, the research employed a quantitative methodology, using a pre-designed online questionnaire to survey respondents. The target population consisted of individuals employed in the medical/healthcare sector across Georgia. Data analysis revealed that healthcare professionals in Georgia often work with low levels of motivation. Their responses indicate that this sector requires greater attention from public health policymakers, as employees need encouragement, enhanced intrinsic motivation, and improved working conditions.

According to the findings, the existence of a competent, capable, and responsible workforce in the healthcare system is a crucial asset for the country, directly contributing to improved quality in medical service delivery.

Key terms: healthcare human resources, medical workforce in Georgia, medical labor mark